ისტორიის დოქტორი ჯემალ გამახარია

აფხაზეთში ომის (1992-1993 წწ.) მიზნებისა და შედეგების შეფასების საკითხისათვის

ქართულ-აფხაზური პოლიტიკური დაპირისპირება, რომელიც დიდი ხნის ისტორიას ითვლის, 1992 წლის აგვისტოში ფართომასშტაბიან ომში გადაიზარდა. ეჭვს არ იწვევს როგორც რუსეთის მიერ ამ ომის პროვოცირების ფაქტი, ისე აღნიშნულ კონფლიქტში მისი შეიარაღებული ძალების უშუალო მონაწილეობა საქართველოს წინააღმდეგ. ომის მიმდინარეობის პერიოდში, ასევე მისი დასრულების შემდეგაც საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას მიღებული აქვთ უამრავი დადგენილება, განცხადება, მიმართვა საერთაშორისო ორგანიზაციებისადმი, რომლებშიც აღიარებულია რუსეთის სამხედრო ნაწილების უშუალო მონაწილეობა ომში სეპარატისტების მხარდასაჭერად, მოტანილია ამის დამადასტურებული მრავალრიცხოვანი მაგალითები. უფრო მეტიც, რუსეთი გამოცხადებულია კონფლიქტის მხარედ; აღნიშნულია, რომ მისი შეიარაღებული ძალები ამ ომში ასრულებენ გადამწყვეტ როლს. ოფიციალურ დოკუმენტებში ისიც არის ნათქვამი, რომ რუსეთის ხელისუფლების, მისი შეიარაღებული ძალების მიზანია საქართველოსაგან აფხაზეთის მოწყვეტა[1]; საქართველოს პარლამენტი პერმანენტულად მოითხოვდა რუსეთის საჯარისო ნაწილების აფხაზეთიდან გაყვანას[2].

აქვე არ შეიძლება არ ვახსენოთ იმის შესახებაც, რომ რუსეთმა უხეშად დაარღვია მისივე შუამავლობით და პასუხისმგებლობით ხელმოწერილი შეთანხმებები ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. მხედველობაში გვაქვს 1992 წლის 3 სექტემბერის „მოსკოვის შეხვედრის შემაჯამებელი დოკუმენტი“ და 1993 წლის 27 ივლისის სოჭის „შეთანხმება აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტისა და მისი დაცვისადმი კონტროლის მექანიზმის შესახებ“[3]. სოჭის შეთანხმებას წინ უძღოდა ელცინ-შევარდნაძის 1993 წლის 14 მაისის მემორანდუმი ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. როგორც პრაქტიკამ დაგვანახა, ყველა ეს შეთანხმება თუ მემორანდუმი ფაქტობრივად წარმოადგენდა აფხაზეთის ოკუპაციის საერთო რუსული გეგმის შემადგენელ ნაწილს და მიზნად ისახავდა დროის მოგებას, ამა თუ იმ მიმართულებით ახალი შეტევითი ოპერაციის მომზადებისა და განხორციელებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნას.

აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ოკუპირებულ ტერიტორიად ოფიციალური აღიარება მოხდა 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ იმავე წლის 23 ოქტომბერს

1

2

3

მიღებული კანონით ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ. ამავე დროს საქართველოს პარლამენტს 1992 - 2008 წლებში მიღებული აქვს დადგენილებები, მიმართვები, განცხადებები, რომლებშიც რუსული მხარე აფხაზეთის ოკუპაციასა და ანექსიაში, ანექსიის მცდელობაშია დადანაშაულებული[4]. თვით ევროპარლამენტმაც კი 2001 წლის 18 იანვარს მიღებულ რეზოლუციაში რუსეთის პოლიტიკას აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მიმართ ამ ტერიტორიების ანექსიის მცდელობა უწოდა[5]. ე. წ. რუსული სამშვიდობო მისიაც, რომელიც კონფლიქტის ზონაში 1994 წლის ივნისიდან 2008 წლის აგვისტომდე ხორციელდებოდა, იმ პერიოდში რუსეთის მიერ გადადგმული მთელი რიგი ნაბიჯები ასევე პირდაპირ ემსახურებოდნენ რუსეთის ანექსიონისტურ მიზნებს. სწორედ მოსკოვის ღია სამხედრო და პოლიტიკურმა მხარდაჭერამ სეპარატისტების მიმართ განაპირობა საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ ინიცირებული სამშვიდობო პროცესების ბლოკირება.

აფხაზეთში 2008 წლამდე განვითარებულ მოვლენებში რუსეთის სახელმწიფოს, მისი შეიარაღებული ძალების მონაწილეობის ოკუპაცია-ანექსიად შეფასების თაობაზე საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების პოზიციას ამყარებენ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის მიერ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომთან დაკავშირებით 2021 წლის 21 იანვარს მიღებული გადაწყვეტილება „საქართველო რუსეთის წინააღმდეგ“, ასევე იმავე სასამართლოს 2023 წლის 7 მარტის გადაწყვეტილება ლევან მამასახლისისა და სხვათა საქმეზე. თავისი გადაწყვეტილებებით სტრასბურგმა დაადასტურა, რომ რუსეთის ფედერაცია 2008 წლამდეც აფხაზეთზე ახორციელებდა სამხედრო, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ანუ ეფექტურ კონტროლს და გადამწყვეტ გავლენას[6].

რუსეთის ანექსიონისტური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია 2008 წლის 26 აგვისტოს უკანონო აქტი აფხაზეთის ვითომ აღიარების შესახებ. ამ ე. წ. აღიარების შემდეგ კრემლი უფრო აქტიურად და მიზანმიმართულად აგრძელებს მცოცავი ანექსიის პოლიტიკას, რასაც ადასტურებენ მოსკოვსა და სოხუმს შორის უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში გაფორმებული მრავალრიცხოვანი უკანონო ხელშეკრულებები, შეთანხმებები, პროგრამები და სხვა უკანონო აქტები[7].

რუსეთის ფედერაციამ შესანიშნავად იცოდა და იცის, რომ აფხაზეთში ქართული მოსახლეობის შენარჩუნების პირობებში, რომელიც ფაქტობრივად უმრავლესობას წარმოადგენდა, შეუძლებელი იქნებოდა ამ ტერიტორიის ოკუპაცია და

4

5

6

7

განსაკუთრებით მისი შემდგომი ანექსია. აქედან გამომდინარე, ომის ერთ-ერთი მთავარი მიზანი გახლდათ აფხაზეთის ქართული მოსახლეობის სრული ან ნაწილობრივი განადგურება და განდევნა მშობლიური ადგილებიდან. ასეთი მიზნის არსებობა საომარი მოქმედებების პირველ დღეებშივე გამოაშკარავდა. 1993 წლის 1 აპრილის დადგენილებაში და იმავე დღეს საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის გაგზავნილ მიმართვაში საქართველოს პარლამენტმა პირველად დააფიქსირა, რომ რუსეთის ჯარების დახმარებით სეპარატისტების მიერ კონტროლირებად საქართველოს ტერიტორიაზე ხორციელდება ეთნიკური წმენდის პოლიტიკა, რომელმაც მიიღო ქართველი და სხვა ეროვნების მშვიდობიან მოქალაქეთა წინააღმდეგ მიმართული აშკარა გენოციდის სახე; რომ ჩადენილ დანაშაულზე პასუხისმგებლობა რუსეთის ფედერაციას ეკისრება[8].

აფხაზეთში საომარი მოქმედებების მიმდინარეობის პერიოდში, განსაკუთრებით მისი დასრულების შემდეგ საქართველოს უმაღლესი სახელისუფლებო ორგანოები და ქვეყნის ოფიციალური პირები აგრძელებენ ავტონომიურ რესპუბლიკაში მომხდარი ტრაგედიის ეთნოწმენდა - გენოციდად შეფასებას. თითქმის ორმოცამდე ოფიციალურ დოკუმენტში ოკუპანტების მიერ აფხაზეთში ჩადენილ დანაშაულს ცალსახად ეთნოწმენდა-გენოციდის შეფასება ეძლევა. მათ შორის არის საქართველოს პარლამენტის შვიდი დადგენილება, ექვსი განცხადება, სამი მიმართვა საერთაშორისო ორგანიზაციებისადმი; პრეზიდენტის ბრძანებულებები, მისი გამოსვლები გაეროს უშიშროების საბჭოზე, გენერალურ ასამბლეაზე; საქართველოს სახელით გაეროში წარდგენილი წერილები, მოხსენებები და განცხადებები. მათ შორის გამოვყოფდით მხოლოდ რამდენიმე, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვან დოკუმენტს.

ომის დასრულებიდან სულ რაღაც ერთ კვირაში - 1993 წლის 6 ოქტომბერს სახელმწიფო მეთაურის ბრძანებულებით შეიქმნა სახელმწიფო კომისია აკადემიკოს ლევან ალექსიძის ხელმძღვანელობით. კომისიას დაევალა აფხაზეთში ქართული მოსახლეობის გენოციდისა და ეთნიკური წმენდის ფაქტების გამოვლენა და საერთაშორისო ტრიბუნალისთვის მასალების მომზადება[9]. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოს პარლამენტის 1996 წლის 17 აპრილის სპეციალური და ამასთანავე ყოვლისმომცველი დადგენილება „აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების შესახებ“[10]. მასში ჩაიწერა, რომ „სეპარატისტებმა გარეშე ძალთა მხარდაჭერითა და ხელშეწყობით 1992 წლიდან მოაწყვეს ქართველების გენოციდი და ეთნიკური წმენდა“; საგანგებოდ არის

8

9

10

აღნიშნული, რომ ქართველთა გენოციდი და ეთნიკური წმენდა გრძელდება საომარ მოქმედებათა შეწყვეტის შემდგომაც, განსაკუთრებით გალის რაიონში.

კიდევ დავასახელებდი პრეზიდენტის 1997 წლის 6 იანვრის ბრძანებულებას, რომლის მიხედვითაც ეთნოწმენდისა და გენოციდის ფაქტების დამდგენ სახელმწიფო კომისიას მიეცა რეკომენდაცია ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე და რუანდაში ჩადენილი დანაშაულებისთვის შექმნილ ჰააგის საერთაშორისო ტრიბუნალთან და მათ ორგანოებთან საქართველოს თანამშრომლობისთვის წინადადების მომზადების შესახებ[11].

აქვე მინდა მოვიტანო საქართველოს პარლამენტის მიერ 2002 წლის 20 მარტს მიღებული დადგენილება, რომლითაც „აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმის მიერ 1992 წლიდან განხორციელებული მშვიდობიანი მოსახლეობის ეთნიკური წმენდა“ შეფასებულია „როგორც ქართული მოსახლეობის გენოციდი“[12]. ამ შეფასებას აქვს პრინციპული მნიშვნელობა, ვინაიდან ის ითვალისწინებს საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკას და ყოფილ იუგოსლავიასთან დაკავშირებით გაეროს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს.

გაეროში საქართველოს წარმომადგენელმა რევაზ ადამიამ 2003 წლის 11 ნოემბერს ვრცელი წერილით მიმართა უშიშროების საბჭოს წევრებს აფხაზეთში არსებული ვითარების შესახებ. ეხება რა ადამიანის უფლებების საკითხს, წერილის ავტორი აღნიშნავს: „საჭირო არ არის იყო იურისტი - საერთაშორისო სამართალმცოდნე, რათა ასეთ საქციელს მისცე კვალიფიკაცია, რომ ის არის გენოციდის ხასიათის მატარებელი, თუ უშიშროების საბჭო ვერ იპოვის რაიმე სხვა განმარტებას“[13].

საქართველოს გენერალურ პროკურატურაში 1993 წლის 28 სექტემბერს აღიძრა სისხლის სამართლის საქმე აფხაზი სეპარატისტებისა და მათ მიერ დაქირავებული ბანდების მიერ მშვიდობიანი ქართული მოსახლეობის გენოციდისა და ეთნოწმენდის ფაქტზე. იმავე წლის 29 ოქტომბერს გენპროკურატურაში ჩამოყალიბდა და დღემდე აგრძელებს მუშაობას სპეციალური საგამოძიებო-ოპერატიული ჯგუფი, რომელმაც დაიწყო გამოძიება აფხაზეთში მომხდარი გენოციდის ფაქტებზე. 1999 წლისთვის მომზადდა საქართველოს გენერალური პროკურატურისა და აფხაზეთის პროკურატურის ერთობლივი დასკვნა „აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში ქართველი მოსახლეობის გენოციდის ფაქტზე აღძრულ სისხლის სამართლის საქმეზე დადგენილ გარემოებათა შესახებ. 1992-1999 წწ“. დასკვნა გამოცემულია ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე. მასში დამტკიცებულად არის მიჩნეული, რომ აფხაზეთში სამხედრო კონფლიქტის

11

12

13

დროს ნამდვილად ჰქონდა ადგილი ქართველი მოსახლეობის მიმართ გენოციდსა და ეთნიკურ წმენდას.

აქტიურად მუშაობდა ზემოხსენებული, 1993 წლის 6 ოქტომბერს შექმნილი სახელმწიფო კომისია. მისი მიზანი გახლდათ აფხაზეთში ქართული მოსახლეობის გენოციდისა და ეთნიკური წმენდის ფაქტების გამოვლენა და საერთაშორისო ტრიბუნალისთვის მასალების მომზადება. თავისი მუშაობის შედეგებს კომისია განცხადებების სახით პერიოდულად უგზავნიდა გაეროს. პირველი განცხადება გაეროში გაიგზავნა 1994 წლის თებერვალში (23 და 24 თებერვალს); მეორე - 1995 წლის 6 თებერვალს; მესამე - იმავე წლის 14 მარტს; მეოთხე - 1996 წლის 29 მარტს; აღნიშნულ განცხადებებს თან ახლდა საგარეო საქმეთა სამინისტროს ან პრეზიდენტის წერილებიც.

1997 წლის 14 აპრილს გაეროს გენერალური მდივნის კოფი ანანის სახელზე გაიგზავნა „აფხაზეთში, საქართველო, ქართველი მოსახლეობის წინააღმდეგ ეთნიკური წმენდის/გენოციდის ფაქტების დადგენისა და მასალების საერთაშორისო ტრიბუნალისთვის გადაცემის მიზნით შექმნილი სახელმწიფო კომისიის დასკვნა“. ეს საკმაოდ ვრცელი დოკუმენტი ითარგმნა რამდენიმე ენაზე და გავრცელდა გენერალური ასამბლეას დოკუმენტის სახით. სახელმწიფო კომისიის დასკვნაში დასაბუთებულია, რომ **ქართული მოსახლეობის მიმართ აფხაზეთში განხორციელებული ეთნიკური წმენდა წარმოადგენს ადამიანურობის წინააღმდეგ დანაშაულს გენოციდის მკაფიოდ გამოხატული ფორმით.** სამწუხაროდ, ამ ყოველმხრივ დასაბუთებულ დასკვნაზე გაეროს ან/და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან რეაგირება არ მომხდარა, თუმცა სრულიად აშკარა იყო, რომ ყოფილ იუგოსლავიასა და აფხაზეთში ჩადენილია ერთი და იმავე სახის დანაშაული.

ჩვენი აზრით, სახელმწიფო კომისიის დასკვნა იმის შესახებ, რომ ქართული მოსახლეობის მიმართ აფხაზეთში განხორციელებული ეთნიკური წმენდა წარმოადგენს ადამიანურობის წინააღმდეგ დანაშაულს გენოციდის მკაფიოდ გამოხატული ფორმით, გახლავთ აფხაზეთის ტრაგედიის სწორი შეფასება. როდესაც ეს დასკვნა დაიდო, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდება ჯერ არ არსებობდა, სადაც გენოციდის დანაშაული და ადამიანურობის წინააღმდეგ დანაშაული ერთმანეთისაგან გამიჯნულია; სახელმწიფო კომისიის დასკვნაში კი საერთაშორისო დანაშაულის ეს ორი სახეობა გაერთიანებულია, თუმცა ამას პრინციპული მნიშვნელობა არ გააჩნია - ადამიანურობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული არანაკლებ მძიმეა, ვიდრე გენოციდის დანაშაული.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდების მე-7 მუხლის მიხედვით, ადამიანურობის წინააღმდეგ დანაშაულის მთავარი ნიშნებია სამოქალაქო მოსახლეობის „დეპორტაცია ან მოსახლეობის იძულებით გადაადგილება“, ასევე „სამოქალაქო მოსახლეობის განადგურება“ და ა. შ. ეუთოს ლისაბონისა (1996 წლის 3 დეკემბერი) და სტამბულის (1999 წლის 17-18 ნოემბერი) სამიტების დეკლარაციებში კი შავით თეთრზე წერია, რომ სახელმწიფოები გმობენ აფხაზეთში განხორციელებულ ეთნიკურ წმენდას, „რასაც მოჰყვა ძირითადად ქართული მოსახლეობის მასობრივი განადგურება და იძულებითი განდევნა“. ეუთოს ეს შეფასება თითქმის სიტყვასიტყვით ემთხვევა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდების მე-7 მუხლს. ერთი სიტყვით, აფხაზეთთან მიმართებაში ადამიანურობის წინააღმდეგ დანაშაულის ცალკეული ნიშნების არსებობა ეჭვსგარეშეა. საჭიროა მხოლოდ ამ ნიშნებისთვის თავისი ნამდვილი სახელის დარქმევა.

ეთნიკურ წმენდასთან დაკავშირებულ საკითხებზე საერთაშორისო ორგანიზაციების, განსაკუთრებით გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ გასული საუკუნის 90-იან წლებში მიღებული გადაწყვეტილებები იძლევიან მყარ საფუძველს აფხაზეთის ტრაგედიის ობიექტური შეფასებისთვისაც. სამწუხაროდ, ის გადაწყვეტილებები ვრცელდებოდა ყოფილ იუგოსლავიაზე, რუანდაზე, მაგრამ არა აფხაზეთზე, თუმცა, როგორც მოგახსენეთ, საქართველოს საკანონმდებლო, აღმასრულებელმა და სასამართლო ხელისუფლებამ, აგრეთვე სახელმწიფო კომისიამ კონკრეტული ფაქტებით ხელში დაადასტურეს, დაამტკიცეს, რომ აფხაზეთში განხორციელებული ეთნოწმენდა წარმოადგენდა ადამინურობის წინააღმდეგ დანაშაულს გენოციდის ნიშნებით.

ქართულმა მხარემ თავის დროზე გააკეთა და დღესაც ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებმა აფხაზეთში დატრიალებულ ტრაგედიას მისცენ ობიექტური შეფასება, თუმცა მიღწეული შედეგებით კმაყოფილი ვერ ვიქნებით. ამის მიზეზი მაშინდელი საერთაშორისო პოლიტიკური კონიუნქტურაა; აფხაზეთში განხორციელებულ ეთნოწმენდა-გენოციდზე პასუხისმგებელი რუსეთის ცივილიზებულ სახელმწიფოთა რიგებში დაბრუნების, ერთი შეხედვით, კეთილშობილური, მაგრამ რეალობას მოწყვეტილი მცდელობაა. აქედან გამომდინარე, საერთაშორისო თანამეგობრობა სულ ბოლო დრომდე თვალს ხუჭავდა ისეთ „უმნიშვნელო“ საკითხებზე, როგორიცაა აფხაზეთის მოსახლეობის თითქმის ორი მესამედის იძულებითი დეპორტაცია, ათასობით მშვიდობიანი მოქალაქის, მათ შორის ბავშვების, ქალების, ხანდაზმულების არაადამიანური მეთოდებით წამება და ფიზიკური განადგურება. ადექვატური ზომები არც რუსეთ-საქართველოს 2008 წლის და რუსეთ-უკრაინის 2014 წლის ომებთან დაკავშირებით ყოფილა მიღებული. ყოველივე ამის ძალიან

სამწუხარო შედეგს საქართველოსთან ერთად დღეს იმკის კოლექტიური დასავლეთი, მთელი მსოფლიო.

ამჟამად სრულიად განსხვავებული და ბევრად უფრო ხელსაყრელი ვითარებაა. უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის აგრესიის შედეგად ჩამოყალიბებული ახალი საერთაშორისო პოლიტიკური კონიუნქტურის პირობებში შესაძლებლად მიგვაჩნია აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედიის ობიექტური და სამართლიანი შეფასების მიღწევა საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან. ასეთი შეფასება აუცილებელია თუნდაც უკრაინაში ჩადენილი დანაშაულის გენეზისის გამოძიების თვალსაზრისითაც. ვინც აფხაზეთის ტრაგედია საკუთარი თვალით იხილა, ან იცნობს შესაბამის ლიტერატურას, უსიტყვოდ დაგვეთანხმება, რომ რუსული ურდოების მიერ უკრაინაში გამოიყენება 1992 – 1993 წლებში აფხაზეთში უკვე აპრობირებული გამოცდილება. ვფიქრობთ, ეს ყოველივე ძალიან საინტერესო უნდა იყოს უკრაინაში რუსეთის მიერ ჩადენილი ბარბაროსობის გამოძიებაზე მომუშავე ჰააგის პროკურორებისთვის.

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზეთის დეოკუპაცია, კონფლიქტის მშვიდობიანი მეთოდებით მოგვარება შესაძლებელია საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან აღნიშნული კონფლიქტის ობიექტური შეფასების პირობებში, რაც გულისხმობს: ომის მთავარ ინსპირატორად რუსეთის გამოცხადებას; იმ საყოველთაოდ ცნობილი ფაქტის აღიარებას, რომ რუსეთის სახელმწიფო, მისი შეიარაღებული ძალები უშუალოდ მონაწილეობდნენ და გადამწყვეტ როლს ასრულებდნენ 1992-1993 წლების ომში საქართველოს წინააღმდეგ; რომ აფხაზეთი 1993 წლიდან არის ოკუპირებული რუსეთის მიერ მისი შემდგომი ანექსიის მიზნით; რომ ანექსიონისტურ მიზნებს ემსახურებოდა აფხაზეთში ქართული მოსახლეობის წინააღმდეგ განხორციელებული ეთნიკური წმენდა/გენოციდი, ე. წ. რუსული სამშვიდობო მისიაც და აფხაზეთის „დამოუკიდებლობის“ აღიარებაც.

სანამ აფხაზეთის ტრაგედიის შეფასების საკითხი საერთაშორისო ორგანიზაციების დღის წესრიგში დადგება, სასურველია და აუცილებელიც, რომ ამ თემაზე იმსჯელონ აკადემიური წრეების წარმომადგენლებმა, რათა დაიდოს კომპეტენტური დასკვნები და რეკომენდაციები.

ისტორიის დოქტორი ჯემალ გამახარია

აფხაზეთში ომის (1992-1993 წწ.) მიზნებისა და შედეგების შეფასების საკითხისათვის

აფხაზეთის დეოკუპაციას, კონფლიქტის მშვიდობიანი მეთოდებით მოგვარებას დიდად შეუწყობს ხელს საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან აფხაზეთში ომის (1992-1993 წწ.) მიზნებისა და შედეგების ობიექტური შეფასება, რაც დღემდე არ მომხდარა. ობიექტურ შეფასებაში იგულისხმება ომის მთავარ ინსპირატორად რუსეთის გამოცხადება; იმ ფაქტის აღიარება, რომ რუსეთის შეიარაღებული ძალები უშუალოდ მონაწილეობდნენ და გადამწყვეტ როლს ასრულებდნენ ომში საქართველოს წინააღმდეგ; რომ აფხაზეთი 1993 წლიდან არის ოკუპირებული რუსეთის მიერ მისი შემდგომი ანექსიის მიზნით; რომ ანექსიონისტური მიზნების მისაღწევად განხორციელდა აფხაზეთში ქართული მოსახლეობის ეთნიკური წმენდა/გენოციდი; იმავე მიზანს ემსახურებოდა ე. წ. რუსული სამშვიდობო მისიაც და აფხაზეთის „დამოუკიდებლობის“ აღიარებაც. აღნიშნულ საკითხებზე საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებებს საფუძვლად უნდა დაედოს აკადემიური წრეების შესაბამისი დასკვნები და რეკომენდაციები.